სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2020 წლის 5 ივლისის №100/01-01 ბრძანების უზრუნველყოფისთვის, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №54/2020 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

# შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 17 სექტემბერი, 2020

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი ამირან ბერძენიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფესორი ლია წულაძე (კომისიის მდივანი), ასოც. პროფესორი კახა ქეცბაია (კომისიის წევრი) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია.

დღის წესრიგი:

1. თსუ – ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №87/2020 დადგენილების მიხედვით პროცედურული ხარვეზის გამოსწორება შორენა თურქიაშვილის ასისტენტ-პროფესორად არჩევასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის მდივანმა ასოცირებულმა პროფესორმა ლია წულაძემ დამსწრეთ გააცნო თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №87/2020 დადგენილება, რომლის მიხედვითაც უარი ეთქვა საკონკურსო კომისიას მის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე და აკადემიური საბჭოს მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, დაევალა შემაჯამებელი ოქმის „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის" მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენა.

საკონკურსო კომისიამ კენჭისყრის პროცედურა
უზრუნველყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მოთხოვნათა დაცვით და სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის არჩევად ჩაატარა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 5 წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:
შორენა თურქიაშვილი: მომხრე - 5, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს:

1. სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის 1 აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა შორენა თურქიაშვილი;
2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე)

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოც. პროფესორი კახა ქეცბაია
(კომისიის წევრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი ლია წულაძე
(კომისიის მდივანი)